ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №27

20.06.2023 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
11:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
5. მარიამ ზაქარიაშვილი- კომისიის წევრი;
6. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
7. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

<u>ინფორმაციის მოსმენა წერეთლის გამზირის და უნივერსიტეტის ქუჩის დიზაინისა და მოძრაობის ორგანიზების განახლებული სქემის შესახებ</u>

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე**

სხდომას კომისიის წევრების გარდა, საკითხით დაინტერესებული საკრებულოს სხვა დეპუტატები ესწრებოდნენ.

მომხსენებელი:

- **ვიქტორ წილოსანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსი.

შ.ოგბაიძემ გახსნა სხდომა, მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე და მომხსენებელს სთხოვა მისი წარდგენა.

ვ. წილოსანი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საწყის ეტაპზე, ისაუბრა დედაქალაქის სატრანსპორტო რეფორმის მნიშვნელობაზე. ამის შემდგომ, კომისიის წევრებს აკაკი წერეთლის გამზირისა და უნივერსიტეტის ქუჩის დიზაინისა და მოძრაობის ორგანიზების განახლებული სქემის შესახებ ინფორმაცია პრეზენტაციის

სახით წარუდგინა. მომხსენებელმა, პრეზენტაციის ფარგლებში, დეტალურად ისაუბრა იმ ცვლილებებზე და განახლებებზე, რომლებიც დაგეგმილია ზ/ა გამზირსა და ქუჩაზე.

ვ. წილოსანის განცხადებით, აკაკი წერეთლის გამზირის სარეაბილიტაციო პროექტი ითვალისწინებს მთლიან გამზირზე საფუძვლიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარებას. როგორც მან აღნიშნა, ეს იქნება როგორც მიწისქვეშა, ასევე, მიწისზედა კომუნიკაციების სრული რეაბილიტაცია.

მომხსენებლის განმარტებით, კომუნიკაციების მოწესრიგების შემდეგ, ტერიტორიაზე საგზაო სამუშაოები დაიწყება. კერძოდ, მოეწყობა ტროტუარი, გარე განათების ქსელი და დამონტაჟდება LED სანათები, გზის სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტის საფარი, მოეწყობა უსაფრთხოების კუნძულები, გამწვანებული თარგები და ზებრა გადასასვლელები. საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გამოიყოფა სპეციალური ზოლი. ჩატარდება გამწვანების სამუშაოები და გამზირზე არსებული ინფრასტრუქტურა ადაპტირდება შშმ პირებისთვის. სამუშაოებში რამდენიმე კომპანია იქნება ჩართული, მათ შორის პროვაიდერი კომპანიები „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი", „თელასი", „თბილისი ენერჯი", „მაგთი", „სილქნეტი" და ა.შ.

როგორც მომხსენებელმა განაცხადა, ამ დროისთვის, გამზირზე პროექტით გათვალისწინებული პირველი ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს. კერძოდ, დაწყებულია მიწისქვეშა კომუნიკაციების რეაბილიტაცია, რაც წყალმომარაგების, წყალარინების, გაზმომარაგების ქსელების შეცვლას და სანიაღვრე ქსელის მოწყობას გულისხმობს. ხიდსა და გამზირზე არსებული ელექტროსადენები მიწისქვეშა კაბელ-არხებში განთავსდება. ასევე, მოეწყობა მიწისქვეშა ნაგავშემკრები ურნები.

რაც შეეხება უნივერსიტეტის ქუჩას, ვ.წილოსანის განმარტებით, სრული რეაბილიტაცია ითვალისწინებს მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციების შეცვლას, ახალი შუქნიშნების დამონტაჟებას და ზებრა გადასასვლელების დახაზვას, ასევე, მთელ სავალ ზოლზე ტროტუარის მოწყობას.

ამის შემდგომ, კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ვიქტორ წილოსანმა საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების წინადადებები მოისმინა და მათ კითხვებს დეტალური პასუხები გასცა.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე